დავით ბაქრაძე
ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

2026 წლის 30 მარტი - 3 აპრილის პერიოდში, კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის ასოცირებული პროფესორი დავით ბაქრაძე, ERASMUS+ პროგრამის აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, მონაწილეობას იღებდა ქალაქ ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის პოლიტიკური და სოციალური სწავლებების ევროპული სკოლის (ESPOL) სასწავლო პროგრამაში.

პროგრამის ფარგლებში, პროფესორმა დავით ბაქრაძემ წაიკითხა ლექციები როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო კურსის სტუდენტებისთვის. ლექციების ძირითადი თემა შეეხებოდა შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული უზრუნველყოფისთვის.

კერძოდ, საბაკალავრო სწავლების 1-ლი, მე-2 და მე-3 კურსის სტუდენტებისთვის წაკითხულ იქნა ლექციები ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის როლზე ევროპის საგარეო პოლიტიკის მომავლისთვის, კასპიის ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელობაზე ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, აგრეთვე უკრაინაში რუსეთის აგრესიაზე, ამ კონფლიქტის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებსა და მისი გადაჭრის პერსპექტივებზე.

სამაგისტრო კურსის სტუდენტებისთვის წაკითხულ იქნა ლექციები უსაფრთხოების თეორიების შესახებ, კერძოდ, ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემაში მიმდინარე პროცესების, ნატო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და შავი ზღვის რეგიონში ამ ორი ორგანიზაციის თანამშრომლობის შესახებ.

გარდა ლექციებისა, ასევე გაიმართა ინდივიდუალური კონსულტაციები დისერტაციების მომზადების პროცესში ჩართულ სტუდენტებთან, აგრეთვე შედგა გამოცდილების გაცვლა და დისკუსია პოლიტიკური და სოციალური სწავლებების ევროპული სკოლის აკადემიურ პერსონალთან.